



Tax • Audit • Consulting

სს ჰიუნდაი ავტო საქართველო

ფინანსური ანგარიშგება

*2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ჰიუნდაი ავტო საქართველო-ს დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს **სს ჰიუნდაი ავტო საქართველოს** (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული სრული შემოსავლების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება შეადგენს 1,809,837 ლარს. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმისა, რომ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ნაშთი ზუსტად და უტყუარად ასახავს არსებულ მდგომარეობას.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ნაშთი შეადგენს 10,732,315 ლარს. 2020 წლის ბოლოს ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას და ვერც სხვა ანალიზური პროცედურებით შევძელით საკმარისი და უტყუარი მტკიცებულების მოპოვება მარაგების ნაშთის დასადასტურებლად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

კომპანია ფლობს საინვესტიციო ქონებას, რომელსაც აღრიცხავს გადაფასების მოდელით.

მსს ფასს მე-16 განყოფილების მიხედვით: საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, უნდა

შეფასდეს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანიამ, საინვესტიციო ქონების შეფასება, ბოლოს, 2018 წელს მოახდინა.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსის სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლს შესაქმნელად.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა. მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ

შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასე-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებითი შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული

შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება. დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისათვის. ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობითი ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე განვაცხადოთ მმართველობით ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობითი ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მამუკა მარდალეიშვილი
შპს თიემსი
09 ივნისი, 2022
თბილისი, საქართველო

შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება. დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისათვის. ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობითი ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე განვაცხადოთ მმართველობით ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობითი ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მამუკა მარდალეიშვილი
შპს თიემსი
09 ივნისი, 2022
თბილისი, საქართველო



სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
ამონაგები	5	25,369,080	31,153,251
ამონაგების თვითღირებულება	6	(21,496,867)	(24,356,175)
საერთო მოგება/(ზარალი)		3,872,213	6,797,076
მარკეტინგული ხარჯები		(233,961)	(285,549)
პერსონალის შენახვის ხარჯები		(808,082)	(1,542,847)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	10	(350,167)	(371,959)
სხვა საერთო ხარჯები	7	(1,962,802)	(695,086)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		517,201	3,901,635
ფინანსური შემოსავალი	8	132,486	72,397
ფინანსური ხარჯები	8	(561,183)	(480,858)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	9	743,775	431,530
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		832,279	3,924,704
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		832,279	3,924,704

პრეზიდენტი:


დავით გიორგობიანი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
ამონაგები	5	25,369,080	31,153,251
ამონაგების თვითღირებულება	6	(21,496,867)	(24,356,175)
საერთო მოგება/(ზარალი)		3,872,213	6,797,076
მარკეტინგული ხარჯები		(233,961)	(285,549)
პერსონალის შენახვის ხარჯები		(808,082)	(1,542,847)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	10	(350,167)	(371,959)
სხვა საერთო ხარჯები	7	(1,962,802)	(695,086)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		517,201	3,901,635
ფინანსური შემოსავალი	8	132,486	72,397
ფინანსური ხარჯები	8	(561,183)	(480,858)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	9	743,775	431,530
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		832,279	3,924,704
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		832,279	3,924,704

პრეზიდენტი:

დავით გიორგობიანი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	3,200,651	3,638,767
საინვესტიციო ქონება	10	2,449,462	2,500,243
არამატერიალური აქტივები	10	65,377	77,456
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,715,490	6,216,466
მარაგები	11	10,732,315	9,219,368
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	2,010,009	2,314,067
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	5,093,827	3,943,701
სულ მოკლევადიანი აქტივები		17,836,151	15,477,136
სულ აქტივები		23,551,641.00	21,693,602.29
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	77,600	77,600
გაუნაწილებელი მოგება		13,575,295	13,924,411
სულ საკუთარი კაპიტალი		13,652,895	14,002,011
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	1,710,517	7,184,925
საგადასახადო ვალდებულებები		-	263,172
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	16	7,870,096	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		318,133	243,494
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		9,898,746	7,691,591
სულ ვალდებულებები		9,898,746	7,691,591
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		23,551,641.00	21,693,602.29

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირებული ზარალი) ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77,600	10,828,784	10,906,384
წლის მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)	-	3,949,127	3,949,127
დივიდენდები	-	(853,500)	(853,500)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77,600	13,924,411	14,002,011
წლის მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)	-	832,279	832,279
დივიდენდები	-	(1,181,395)	(1,181,395)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77,600	13,575,295	13,652,895

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2020 ლარი	2019 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	24,697,803	31,119,880
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(14,263,550)	(26,913,661)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(1,575,981)	(1,788,564)
გადახდილი გადასახადები	(2,239,835)	(1,817,695)
სხვა გადახდები	(138,316)	669,833
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	6,480,122	1,269,793
ძირითადი საშუალებების (შეძენა)/გაყიდვა	218,059	274,435
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(4,212)
მიღებული პროცენტები	-	2,610,757
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	218,059	2,880,980
ცვლილებები მიღებულ სესხებში	(4,570,625)	-
გადახდილი დივიდენდები	(1,122,325)	(810,825)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(5,692,950)	(810,825)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	1,005,231.39	3,339,948.00
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	144,895	(14,247)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	3,943,701	618,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	5,093,827	3,943,701

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „ჭიუნდაი ავტო საქართველო“ დაფუძნდა 2005 წლის 24 მაისს, საიდენტიფიკაციო კოდი: 204478948, მარეგისტრირებული ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. კომპანიის მფლობელი არის ფიზიკური პირი დავით გიორგობიანი. კომპანიის მმართველობის ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაში არიან:

თავმჯდომარე/წევრი: მერაბ გიორგობიანი, 01017033842

თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: გედევან გელაზიანი, 01031000520

წევრი: დავით გელაზიანი, 01008020328

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებით, სათადარიგო ნაწილებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა და ასევე ავტომობილების ტექ. მომსახურება.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის 12 მარტს ოფიციალურად გამოაცხადა COVID-19 პანდემია. მსოფლიო მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობის წინაშე დადგა ადამიანების საქმიანობის ყველა ასპექტზე, მათ შორის ეკონომიკაზე კორონავირუსის გავლენის გამო. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე შექმნილ ახალ ვითარებას კომპანიაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. ადმინისტრაციული დეპარტამენტი გადავიდა დისტანციურად მუშაობის რეჟიმში, ხოლო საოპერაციო პროცესი საწარმოში შენარჩუნებული იყო ყველა წესის დაცვით.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად. მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, კომპანია არ

მოელის, რომ კორონავირუსს არსებით უარყოფითი გავლენა ექნება კომპანიის უნარზე, განაგრძოს არსებობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების შედგენა საჭიროებს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. გარდა ამისა, საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯასა და გადაწყვეტილების მიღებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ინფორმაცია ისეთი სფეროების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით რთულია, ან მაღალი დონის განსჯა ესაჭიროება, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვანია მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ა) უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად კომპანიის მიერ აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სავალუტო კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან

არაფულად ვალდებულებას. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანია თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31.12.2020	31.12.2019
1 აშშ დოლარი / ლარი	3.2766	2.8677
1 ევრო / ლარი	4.0233	3.2095

ბ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

გ) ამონაგები და სხვა შემოსავალი

მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის შემოსავლებს:

შემოსავალი ავტომობილების რეალიზაციიდან

შემოსავალი ავტომობილების რეალიზაციიდან წარმოადგენს საწარმოს ძირითადი შემოსავლის წყაროს და ამონაგები აღიარდება სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში.

შემოსავალი სათადარიგო ნაწილების რეალიზაციიდან

შემოსავალი სათადარიგო ნაწილების რეალიზაციიდან აღიარდება ნაწილებზე საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში.

შემოსავალი ტექ. მომსახურებიდან

შემოსავალი ტექ. მომსახურებიდან წარმოადგენს ავტომობილებილ დიაგნოსტიკისა და შეკეთების მომსახურებას და აღიარდება საბაზისო მომსახურებების დასრულებისას შესასრულებელი მოვალეობების დაკმაყოფილებისთანავე.

დ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოუშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების

გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

ე) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება, რომ აქტივების თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ:

- შენობა-ნაგებობები - 20-50.
- მანქანა-დანადგარები - 7- 10.
- სატრანსპორტო საშუალებები - 10.
- ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი - 5- 7.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ვ) იჯარა

სადაც კომპანია არის მოიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

ზ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ხარჯებად ტარდება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდის გამოყენებით.

თ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება ცვეთადი და ამორტიზებადი აქტივების შეფასება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი მათი გაუფასურების. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ესა თუ ის აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, შემოწმდება ამ აქტივის (ან იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც მოცემული აქტივი განეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლითაც მისი საბალანსო ღირებულება.

გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს ცალკეული ფულადი სახსრების ნაკადები. არაფინანსური აქტივები, რომლებმაც განიცადეს გაუფასურება, მიმოიხილება გაუფასურების შესაძლო შეცვლის მიზნით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან. ნაღდი ფული ბანკში გულისხმობს მიმდინარე ანგარიშებს.

კ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ასევე შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური ხარჯების ნაწილში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია განიხილავს რეზერვებს სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას. ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ანგარიშობს ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. კომპანიამ იყენებს კომპანიის საკრედიტო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით მომზადებული ანარიცხის მოდელს, რომელიც დებიტორების მომავალზე ორიენტირებულ ფაქტორებს და ეკონომიკურ გარემოს ერგება. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის კომპანიამ განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ კომპანიისთვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

5. ამონაგები

	2020 ლარი	2019 ლარი
შემოსავალი მანქანების რეალიზაციიდან	21,593,717	27,395,753
შემოსავალი სათადარიგო ნაწილების რეალიზაციიდან	2,727,428	2,823,212
შემოსავალი ტექ.მომსახურებიდან	1,047,935	934,286
	25,369,080	31,153,251

6. ამონაგების თვითღირებულება

	2020 ლარი GEL	2019 ლარი GEL
ავტო მანქანების ხარჯი	20,548,273	21,653,001
სათადარიგო ნაწილების ხარჯი	679,752	1,945,997
ტექ. მომსახურების ხარჯი	268,842	757,177
	21,496,867	24,356,175

7. სხვა ხარჯები

	2020 ლარი	2019 ლარი
იჯარა	45,373	57,184
დაზღვევა	69,169	15,914
რემონტი	26,107	58,639
საგადასახადო ხარჯი	99,076	72,160
ბანკის საკომისიო	18,574	36,359
კომუნალური	73,078	79,917

აუდიტორული მომსახურების ხარჯი	20,741	57,750
იურიდიული მომსახურების ხარჯი	37,803	40,649
დაცვის ხარჯი	53,395	56,922
აკრედიტივის ხარჯი	40,071	51,140
სხვა საერთო ხარჯები	1,439,225	98,666
	1,922,612	625,300

8. ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

	2020 ლარი	2019 ლარი
ფინანსური შემოსავლები		
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	132,486	72,397
	132,486	72,397
ფინანსური ხარჯები		
სესხების საპროცენტო ხარჯი	(561,183)	(480,858)
	(561,183)	(480,858)

9. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

	2020 ლარი	2019 ლარი
შემოსავალი იჯარიდან	216,004	254,186
შემოსავალი საგარანტიო მომსახურებიდან	701,179	608,547
ძირ. საშუალების რეალიზაცია	45,758	59,749
კურსთაშორის სხვაობის შედეგი	(254,641)	(415,283)
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	35,475	(75,669)
	743,775	431,530

10. ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება

	მიწა/ შენობა ნაგებობა	მანქანა დანადგარები	აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	საინვესტიციო ქონება*	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
<u>თვითღირებულება:</u>							
2019 წლის 1 იანვარს	2,150,712	1,082,190	646,536	1,099,627	112,547	2,824,962	7,916,574
დამატებები	119,887	143,989	294,001	352,302	21,672	-	931,851
შიდა გადაცემები	-	-	-	-	-	-	-
გასვლები	(66,304)	-	(260,401)	(253,195)	-	-	(579,900)
2019 წლის 31 დეკემბერს	2,204,295	1,226,179	680,136	1,198,734	134,219	2,824,962	8,268,525
დამატებები	-	35,583	42,463	108,916	-	-	186,962
შიდა გადაცემები	-	-	-	-	-	-	-
გასვლები	-	-	-	(337,771)	-	-	(337,771)
2020 წლის 31 დეკემბერს	2,204,295	1,261,762	722,599	969,879	134,219	2,824,962	8,117,716
<u>დაგროვილი ცვეთა:</u>							
2019 წლის 1 იანვარს	64,564	768,474	365,384	268,695	44,684	273,938	1,785,739
ცვეთის ხარჯი	33,091	36,154	37,986	96,229	12,079	50,781	266,320
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერს	97,655	804,628	403,370	364,924	56,763	324,719	2,052,059
ცვეთის ხარჯი	28,497	82,408	37,241	143,763	12,079	50,781	354,769
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	(4,602)	-	-	(4,602)
2020 წლის 31 დეკემბერს	126,152	887,036	440,611	504,085	68,842	375,500	2,402,226
<u>საბალანსო ღირებულება:</u>							
2019 წლის 1 იანვარს	2,086,148	313,716	281,152	830,932	67,863	2,551,024	6,130,835
2019 წლის 31 დეკემბერს	2,106,640	421,551	276,766	833,810	77,456	2,500,243	6,216,466
2020 წლის 31 დეკემბერს	2,078,143	374,726	281,988	465,794	65,377	2,449,462	5,715,490

საინვესტიციო ქონება* მოიცავს შენობებს თბილისსა და რუსთავეში. შენობები გაცემულია იჯარით სხვადასხვა კომპანიებზე.

11. მარაგები

	2020 ლარი	2019 ლარი
ავტომობილები	4,954,534	4,055,677
სათადარიგო ნაწილები	5,777,781	5,163,691
	10,732,315	9,219,368

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020 ლარი	2019 ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,141,424	2,006,020
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	589,509	353,189
მოთხოვნების ანარიცხები	268,355	(101,963)
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	10,721	56,821
	2,010,009	2,314,067

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2020 ლარი	2019 ლარი
ნაღდი ფული სალაროში	388,609	150,982
ფული საბანკო ანგარიშებზე	4,705,218	3,792,719
	5,093,827	3,943,701

14. სააქციო კაპიტალი

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის სააქციო კაპიტალი 77600 ლარით განისაზღვრა და მასში ცვლილებები არ განხორციელებულა.

15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2020 ლარი	2019 ლარი
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	706,387	3,596,454
მიღებული ავანსები	1,004,130	3,588,471
	1,710,517	7,184,925

16. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან თუ ერთ მხარეს შესწევს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარის მიერ ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაკავშირებული მხარის ყველა შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მის სამართლებრივ ფორმას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც შესაბამის ფინანსურ წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

	მესაკუთრეები	მთავარი ხელმძღვანელობა
	ლარი	ლარი
2020		
გამოცხადებული დივიდენდები	1,389,876	-
გადახდილი დივიდენდები	1,389,876	-
სახელფასო ხარჯები	-	71,785
გადახდილი ხელფასები	-	71,785

	მესაკუთრეები	მთავარი ხელმძღვანელობა
	ლარი	ლარი
2019		
გამოცხადებული დივიდენდები	1,004,118	-
გადახდილი დივიდენდები	1,004,118	-
სახელფასო ხარჯები	-	150,937
გადახდილი ხელფასები	-	150,937

17. პირობითი და შესაძლო ვალდებულებებიგადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე

კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

18. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ ფულად სახსრებთან მიმართებით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები:

	2020 ლარი	2019 ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,010,009	2,314,067
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,093,827	3,943,701
	7,103,836	6,257,768

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ლიკვიდურობის მდგომარეობის მონიტორინგს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

ფინანსური ვალდებულებები:

	1-3 თვემდე	3 -12 თვემდე	12 თვეზე მეტი	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სასესხო ვალდებულებები	-	7,870,096	-	7,870,096
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	1,710,517	-	1,710,517
	-	9,580,613	-	9,580,613

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: ა) უცხოურ ვალუტასთან, ბ) საპროცენტო განაკვეთები და გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

I. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

II. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შემდეგ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დენომინაციის ვალუტის მიხედვით:

	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
31.12.2020				
<u>ფინანსური აქტივები:</u>	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	2,010,009	2,010,009
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,152,774	131,224	809,829	5,093,827
	4,152,774	131,224	2,819,838	7,103,836
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,283,491	3,690	6,707,245	8,994,426
	2,283,491	3,690	6,707,245	8,994,426
წმინდა სავალუტო პოზიცია	1,869,283	127,534	(3,887,407)	(1,890,590)
31.12.2019				
<u>ფინანსური აქტივები:</u>	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	361,700	-	1,952,367	2,314,067
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,643,562	13,929	286,210	3,943,701
	4,005,262	13,929	2,238,577	6,257,768
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,650,418	-	3,534,507	7,184,925
	3,650,418	-	3,534,507	7,184,925
წმინდა სავალუტო პოზიცია	354,844	13,929	(1,295,930)	(927,157)

19 . კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე სს ჰიუნდაი ავტო საქართველომ მიიღო და სრულად დაფარა სესხი 3,786,431ლ ოდენობით, ასევე საწარმომ გაანაწილა დივიდენდი 55,632ლ ოდენობით.

21. განმარტება COVID-19-თან (ახალი კორონა ვირუსი) დაკავშირებით:

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოავლინა უცნობი ვირუსის შემთხვევები, რომელიც დიდი სისწრაფით ვრცელდებოდა მთელს მსოფლიოში და ხშირად ფატალური შედეგით სრულდებოდა. ვირუსი ცნობილია Covid-19 - ის სახელით. საქართველოში მისი გავრცელება ოდნავ მოგვიანებით, მარტის თვიდან დაიწყო, რამაც გამოიწვია რიგი ღონისძიებების გატარება ეპიდ. ვითარების შესამსუბუქებლად. მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია სრული ჩაკეტვა (Lock Down), რათა თავიდან აერიდებინა მოსახლეობაში ვირუსის გავრცელება. ვირუსის გავრცელების სწრაფმა ტემპმა და სირთულემ ბიზნესის სხვადასხვა მიმართულებების მნიშვნელოვანი შეფერხება გამოიწვია, როგორც საქართველოში ისე მთელ მსოფლიოში. გამოიცა უამრავი რეკომენდაცია ვირუსისაგან თავის ასარიდებლად, ბიზნეს სექტორს დაუწესდა რიგი შეზღუდვები და რეგულაციები.

წინა წელთან შედარებით კომპანიაში მოხდა შემოსავლების შემცირება, თუმცა კომპანიამ მოახერხა შეენარჩუნებინა ყველა ობიექტი და მასში მომუშავე თანამშრომლები.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეძლო მნიშვნელოვანი ხარჯების ოპტიმიზაცია .

მიუხედავად ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური ვითარებისა, კომპანია ახერხებს ოპერირებას ბაზარზე და ჩვენი შეფასებით საწარმოს ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 09 ივნისს.

პრეზიდენტი:


დავით გიორგობიანი

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 09 ივნისს.

პრეზიდენტი:
დავით გიორგობიანი





სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“-ს

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიში

1. კომპანია და მისი დამფუძნებლები

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ (კომპანია) დაარსდა 2005 წლის 24 მაისს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204478948). კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.

2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისათვის კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი არის ბ-ნი დავით გიორგობიანი (პირადი ნომერი: 01017000104).

2. შემოსავლები

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ არის კორეული ავტოგიგანტის - „ჰიუნდაი მოტორ კომპანი“-ს ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში. კომპანია ძირითად შემოსავალს იღებს ჰიუნდაის მარკის ავტომანქანების იმპორტითა და რეალიზაციით, ასევე, თანმდევი ტექნიკური მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების რეალიზაციით. ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გარდა, კომპანია იღებს დამატებით შემოსავალს უძრავი ქონების გაქირავებიდან. შემოსავლების დეტალები გაშლილია ქვემოთ ცხრილში:

შემოსავალი რეალიზაციიდან 2020 წელი:

საქონლის და მომსახურების სახეები

	საქონლის მიწოდება საქართველოში	მომსახურების გაწევა საქართველოში	სულ
მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები	21,593,717	-	21,593,717
სათადარიგო ნაწილები	2,727,428	-	2,727,428
მომსახურების რეალიზაცია	-	1,047,935	1,047,935
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	24,321,145	1,047,935	25,369,080

შემოსავალი რეალიზაციიდან 2019
წელი

საქონლის და მომსახურების სახეები

მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები	27,395,753	-	27,395,753
სათადარიგო ნაწილები	2,823,212	-	2,823,212
მომსახურების რეალიზაცია	-	934,286	934,286
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	30,218,965	934,286	31,153,251

3. ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები

კომპანიის საგამოფენო დარბაზი და ტექ. მომსახურების ცენტრი მდებარეობს ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე. მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი - 5,000 კვ.მ, საგამოფენო დარბაზის საერთო ფართობი - 1,600 კვ.მ, ხოლო ტექ. მომსახურების ცენტრის ფართობი - 1,580 კვ.მ. საგამოფენო დარბაზი არის ახალი გარემონტებული, აქვეა განთავსებული ადმინისტრაციისა და მომხმარებელთა მომსახურების ოფისები. ტექ. მომსახურების ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე დანადგარებით და მოწყობილია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების გარდა კომპანია ფლობს უძრავი ქონების სამ ობიექტს: 1) თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელ მაგისტრალთან მდებარე კომერციულ ფართს (მიწა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები), 2) კომერციულ და საოფისე დანიშნულების გასაქირავებელ ფართებს (ბინები), რომელთა ფართობებია 2,748 კვ.მ. და 403.9 კვ.მ., შესაბამისად. 3) დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ.ზე მდებარე ფართი (მიწა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები). მათი დანიშნულებაა გრძელვადიანი საიჯარო შემოსავლების გენერირება კომპანიისთვის. ეს ფართები კლასიფიცირებულია, როგორც საინვესტიციო ქონება კომპანიის საადრიცხო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. საინვესტიციო ქონების 2 ობიექტი - თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელ მაგისტრალთან მდებარე კომერციული ფართი და დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ.ზე მდებარე ფართი (მიწა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები) გაქირავებულია და იჯარის სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 299, 193 და 167, 2019, 2018 და 2017 წლებისთვის, შესაბამისად. ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ფინანსური დეტალები მოცემულია ქვემოთ, ახსნა-განმარტებით შენიშვნაში:

ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება

	მიწა/ შენობა ნაგებობა	მანქანა დანადგარები	აღჭურვილი ბა, ავეჯი და სხვა	სატრანსპორ ტო საშუალებები	არამატერია ლური აქტივები	საინვესტიციო ქონება*	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
<i>თვითღირებულება:</i>							
2019 წლის 1 იანვარს	2,150,712	1,082,190	646,536	1,099,627	112,547	2,824,962	7,916,574
დამატებები	119,887	143,989	294,001	352,302	21,672	-	931,851
შიდა გადაცემები	-	-	-	-	-	-	-
გასვლები	(66,304)	-	(260,401)	(253,195)	-	-	(579,900)
გადაფასება/(გაუფასურება)	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერს	2,204,295	1,226,179	680,136	1,198,734	134,219	2,824,962	8,268,525
დამატებები	-	35,583	42,463	108,916	-	-	186,962
შიდა გადაცემები	-	-	-	-	-	-	-
გასვლები	-	-	-	(337,771)	-	-	(337,771)
გადაფასება/(გაუფასურება)	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერს	2,204,295	1,261,762	722,599	969,879	134,219	2,824,962	8,117,716

დაგროვილი ცვეთა:

2019 წლის 1 იანვარს	64,564	768,474	365,384	268,695	44,684	273,938	1,785,739
ცვეთის ხარჯი	33,091	36,154	37,986	96,229	12,079	50,781	266,320
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთ	-	-	-	-	-	-	-
ცვეთის ჩამოწერა გადაფასების გამო	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერს	97,655	804,628	403,370	364,924	56,763	324,719	2,052,059
ცვეთის ხარჯი	28,497	82,408	37,241	143,763	12,079	50,781	354,769
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთ	-	-	-	(4,602)	-	-	(4,602)
ცვეთის ჩამოწერა გადაფასების გამო	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერს	126,152	887,036	440,611	504,085	68,842	375,500	2,402,226

საბალანსო ღირებულება:

2019 წლის 1 იანვარს	2,086,148	313,716	281,152	830,932	67,863	2,551,024	6,130,835
2019 წლის 31 დეკემბერს	2,106,640	421,551	276,766	833,810	77,456	2,500,243	6,216,466
2020 წლის 31 დეკემბერს	2,078,143	374,726	281,988	465,794	65,377	2,449,462	5,715,490

4. საქმიანობის განვითარების გეგმები

ქვეყანაში არსებული კრიზისული მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც გამოწვეულია კოვიდ-19 პანდემიით მიღებული რეგულაციებით, საწარმოს გეგმები განვითარების შესახებ დროებით გადადებულია, თუმცა კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად განაგრძობს ოპერირებას და იმედს გამოთქვამს, რომ დასახული გეგმების განხორციელების საშუალება ექნება უახლოეს მომავალში.

5. კვლევა გარემოს დაცვის საკითხებზე

გარემოს დაცვის საკითხებზე ზეგავლენის შესახებ, კომპანიაში კვლევა არ ჩატარებულა.

პრეზიდენტი, აღმასრულებელი დირექტორი,

დავით გიორგობიანი

4. საქმიანობის განვითარების გეგმები

ქვეყანაში არსებული კრიზისული მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც გამოწვეულია კოვიდ-19 პანდემიით მიღებული რეგულაციებით, საწარმოს გეგმები განვითარების შესახებ დროებით გადადებულია, თუმცა კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად განაგრძობს ოპერირებას და იმედს გამოთქვამს, რომ დასახული გეგმების განხორციელების საშუალება ექნება უახლოეს მომავალში.

5. კვლევა გარემოს დაცვის საკითხებზე

გარემოს დაცვის საკითხებზე ზეგავლენის შესახებ, კომპანიაში კვლევა არ ჩატარებულა.

პრეზიდენტი, აღმასრულებელი დირექტორი,

დავით გიორგობიანი

